ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 298

"28" ივლისი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, დაბა კოჯრის დასახლებაში სატყეოს ქუჩისთვის, მასთან არსებული ჩიხისთვის და შესახვევისთვის ალექსანდრე ჩხეიძის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) მთაწმინდის რაიონში, დაბა კოჯრის დასახლებაში სატყეოს ქუჩას, მასთან არსებულ ჩიხსა და შესახვევს მიენიჭოს გენერალი ალექსანდრე ჩხეიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

X- 476 188 496
Y- 4 612 366 483
X- 476 203 974
Y- 4 612 329 644
X- 476 356 591
Y- 4 612 345 432
X- 476 302 417
Y- 4 612 277 637
X- 476 218 524
Y- 4 612 208 293
X- 476 406 122
Y- 4 612 179 503